ო, ალლაჰის შუამავალო, როგორ მოვიქცე, თუ ვინმე ჩემს ქონების წართმევას მოინდომებს?

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: «ერთი კაცი მივიდა ალლაჰის შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და ჰკითხა: «ო, ალლაჰის შუამავალო, როგორ მოვიქცე, თუ ვინმე ჩემს ქონების წართმევას მოინდომებს? შუამავალმა უპასუხა: «ნუ მისცემ მას შენს ქონებას» ამ კაცმა კვლავ ჰკითხა: "თუ ის ჩემთან ბრძოლის დაწყებას მოინდომებს?" შუამავალმა უპასუხა: «შეებრძოლე მას». კაცმა კვლავ ჰკითხა: "თუ ის მომკლავს?" შუამავალმა უპასუხა: «მაშინ შენ იქნები შაჰიდი (მოწამე)» კაცმა კვლავ ჰკითხა: "თუ მე მოვკლავ მას?“ შუამავლმა უპასუხა: «ის იქნება ცეცხლში (ჯოჯოხეთში)»

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ერთი კაცი მივიდა ალლაჰის შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და ჰკითხა: ო, ალლაჰის შუამავალო როგორ მოვიქცე, თუ ვინმე ჩემი ქონების წართმევას მოინდომებს? შუამავალმა უპასუხა: შენ არ ხარ ვალდებული დანებდე მას და მისცე შენი ქონება, კაცმა ჰკითხა: თუ ის ჩემთან ბრძოლის დაწყებას მოინდომებს? შუამავალმა უპასუხა: შენთვის ნებადართულია მასთან ბრძოლა, კაცმა ჰკითხა: და თუ ის მომკლავს? შუამავალმა უთხრა: შენ იქნები შაჰიდი(მოწამე), კაცმა ჰკითხა: და თუ მე მოვკალი ის? შუამავალმა უპასუხა: ის იმსახურებს, რომ განკითხვის დღეს ჯოჯოხეთში დაისაჯოს.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/3557